



საგადასახადო და საკანონმდებლო სიახლეები

ცვლილებები საგადასახადო კანონმდებლობაში

2016 წლის ოქტომბრის თვეში საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ განხორციელებულა.

სხვა საკანონმდებლო ცვლილებები

ბრძანება აუდიტორის/აუდიტორული ფირმის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის პირობების დამტკიცების შესახებ

2016 წლის 17 ოქტომბერს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ბრძანება #12-ის თანახმად, განისაზღვრა აუდიტორთა და აუდიტორული ფირმების პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის ახალი სტანდარტები, რომლებიც სავალდებულოდ გასათვალისწინებელია აუდიტორს/აუდიტორულ ფირმასა და მზღვეველს შორის ხელშეკრულებაში, კერძოდ:

- აუდიტორების/აუდიტორული ფირმების განზრახ ქმედებით გამოწვეული სადაზღვევო შემთხვევის საფუძველზე სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის

შედეგად და შემდეგ მზღვეველი უფლებამოსილია დამზღვევის მიმართ გამოიყენოს რეგრესის უფლება;

- აუდიტორი/აუდიტორული ფირმა ვალდებულია უფლებამოსილების განხორციელების მთელი პერიოდის მანძილზე დაზღვეული ჰქონდეს პროფესიული პასუხისმგებლობა. სადაზღვევო პოლისის მოქმედების ვადა უნდა განისაზღვროს არანაკლებ 1 წლით. სადაზღვევო პოლისით რეტროაქტიური პერიოდი უნდა განისაზღვროს სადაზღვევო პოლისის ძალაში შესვლის თარიღის წინმსწრები არანაკლებ 24 კალენდარული თვით;
- აუდიტორის/აუდიტორული ფირმისათვის აუდიტორებისა და აუდიტორული ფირმების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის გაუქმების შემთხვევაში, ამ აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ დაზღვევის პოლისის მოქმედების პერიოდში განხორციელებული მომსახურების შედეგად სუბიექტისათვის მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურებაზე მზღვეველი პასუხისმგებელია რეგისტრაციის შეწყვეტიდან მომდევნო 12 თვის განმავლობაში;
- თითოეულ სადაზღვევო შემთხვევაზე ლიმიტი უნდა შეადგენდეს მთლიანი სადაზღვევო თანხის არანაკლებ 10%-ს;
- მინიმალური ფრანშიზა თითოეულ სადაზღვევო შემთხვევაზე განისაზღვრა



არაუმეტეს ასანაზღაურებელი თანხის 5%-ისა მაგრამ არანაკლებ 1000 ლარისა ფიზიკური პირებისათვის და არანაკლებ 2000 ლარისა იურიდიული პირებისათვის.

მნიშვნელოვანი სასამართლო პრაქტიკა

2016 წლის 05 სექტემბერს სააპელაციო სასამართლომ საინტერესო განჩინება გამოიტანა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებასთან, კერძოდ, იურიდიული პირის საბანკო ანგარიშის დაყადაღებასთან დაკავშირებით.

საქმე ეხება შრომით დავას, რომელშიც მოსარჩელე არის სამსახურიდან გათავისუფლებული იურისტი, რომელმაც სარჩელი შეიტანა ყოფილი დამსაქმებლის წინააღმდეგ და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით ითხოვს მოპასუხის საბანკო ანგარიშის დაყადაღებას 15413 ლარის ფარგლებში.

სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა შემდეგ გარემოებებზე:

- სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას დაცული უნდა იყოს სამართლიანი ბალანსი მოსარჩელის უფლებასა (უზრუნველყოს სასამართლო წესით სამომავლოდ დადასტურებული უფლების რეალიზაცია) და მოპასუხის ინტერესს (უზრუნველყოფის ღონისძიებამ გაუმართლებლად არ ხელყოს მისი, როგორც მოპასუხის უფლებები) შორის.

- უზრუნველყოფის ღონისძიებით შეზღუდული უფლება უნდა იყოს სასარჩელო მოთხოვნის მოცულობის ადეკვატური. დაუშვებელია, უზრუნველყოფის ღონისძიებით მოპასუხის უფლების გაუმართლებელი შეზღუდვა და ამგვარად, მხარეთა არათანაბარ პირობებში ჩაყენება.
- უფლების დროებით შეზღუდვის დროს მნიშვნელოვანია გონიერი ბალანსის დაცვა დაცულ სიკეთესა და შეზღუდულ უფლებას შორის.
- იურიდიული პირის პირად ანგარიშებზე ყადაღის დადებით კრედიტორი შეიძლება აღმოჩნდეს ისეთ სამართლებრივ ვითარებაში, როდესაც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საფუძველზე მეწარმე სუბიექტისა, თუ ამხანაგობის სამეწარმეო საქმიანობის შეფერხების შედეგად მოვალემ ვერც ნებაყოფლობით და ვეღარც „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მექანიზმების გამოყენებით ვეღარ შეძლოს კრედიტორის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.
- მოსარჩელისა და მოპასუხის უფლებების თანაზომიერად დაცვის მიზნით, მოსარჩელემ ყველა ზომა უნდა მიიღოს მოპასუხის ქონების მოსაძიებლად, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდა, რომ მოპასუხეს ქონება არ გააჩნია, სწორედ

ასეთ ვითარებაში შეიძლება დადგეს მეწარმე სუბიექტის ანგარიშზე არსებულ თანხაზე ყადაღის სახით, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა.

- მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის წარმოდგენის ეტაპზე, სწორედ საჩივრის ავტორს ეკისრებოდა ვალდებულება ემტკიცებინა, რომ მას სასარჩელო მოთხოვნის უზრუნველსაყოფად სხვა უძრავ-მოძრავი ქონება გააჩნია და, რომ ანგარიშზე ყადაღის დადება მისი უფლებების დაუშვებელი ხელყოფაა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გარეშე დატოვება, მხოლოდ იმ არგუმენტზე დაყრდნობით, რომ ანგარიშის დაყადაღება მიზანშეწონილი არ არის, სამართლებრივ მოტივაციას მოკლებულია.
- შესაბამისად, სასამართლომ დააკმაყოფილა საჩივარი უზრუნველყოფის სახით მოპასუხის საბანკო ანგარიშის დაყადაღების თაობაზე 15413 ლარის ფარგლებში, თუმცა მხარეს დაუტოვა აღნიშნული განჩინების გასაჩივრების შესაძლებლობა, რომელი უფლებაც ამ უკანასკნელს არ გამოუყენებია.
- სააპელაციო სასამართლოს ხსენებული განჩინების სრული ტექსტი საქმეზე №28/3081-16 ხელმისაწვდომია სააპელაციო სასამართლოს ვებ-გვერდზე.

წინამდებარე წერილი შეიცავს ინფორმაციას საგადასახადო და საკანონმდებლო, ასევე, სასამართლო პრაქტიკის სიახლეების შესახებ. ჩვენ გამოვიყენეთ ყველა ძალისხმევა, რათა მოგვეწოდებინა სრული და ზუსტი ინფორმაცია. მიუხედავად ამისა, **ბეიკერ ტილი ჯორჯია** არ იძლევა გარანტიას, რომ მოცემულ წერილში არ იქნება უზუსტობები. წინამდებარე მასალა არ არის გათვლილი და არ უდნა იქნას მიღებული როგორც სამართლებრივი ან საგადასახადო რჩევა. ნებისმიერი შეკითხვით შეგიძლიათ მიმართოთ ჩვენს პროფესიონალებს.

საკონტაქტო ინფორმაცია:

ბეიკერ ტილი ჯორჯია, 44, კოტე აფხაზის ქუჩა (მეიდან პალასი) 0105, თბილისი.
(+ 995 32) 2438 999

office@bakertillygeorgia.ge

www.bakertillygeorgia.ge

შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია არის Baker Tilly International -ის დამოუკიდებელი წევრი. Baker Tilly International Limited-ი ინგლისური კომპანიაა. Baker Tilly International-ი არ უწევს პროფესიულ მომსახურებას კომპანიებს. ქსელის ყველა წევრი ფირმა არის დამოუკიდებელი იურიდიული ერთეული. შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია არ არის Baker Tilly International -ის აგენტი და მას არა აქვს უფლებამოსილება დააკავშიროს რაიმე თავის ქმედებასთან Baker Tilly International-ი ან იმოქმედოს Baker Tilly International -ს სახელით. არც Baker Tilly International-ი, არც შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია და არც Baker Tilly International-ის ქსელის რომელიმე სხვა წევრი არის რაიმე სახით პასუხისმგებელი ერთმანეთის ქმედებებზე ან შეცდომებზე. Baker Tilly-ის სახელი და მასთან ასოცირებული ლოგო გამოიყენება Baker Tilly International Limited-ის მიერ გაცემული ლიცენზიის საფუძველზე.